

ხელშეკრულება N18
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქალაქ ფოთი

„03“ აპრილი 2020 წელი

ერთი მხრივ, ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლოების მოვლა - პატრონობის ცენტრი“ (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გრიგოლ ლიფონავას სახით და მეორე მხრივ, შპს „გელმარი“ (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გელა ვადაქარიას სახით, სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს თავმჯდომარის შესყიდვების 2015 წლის 17 აგვისტოს N 13 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ დებენ წინამდებარე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: ქ. ფოთში, შავი ზღვის ქუჩაზე მდებარე ნაბადის უბნის სასაფლაოზე განათების მოწყობა სამუშაოები, დანართი N 1-ის შესაბამისად.

შესყიდვის კატეგორია: 4530000- სამშენებლო - სამონტაჟო სამუშაოები.

კლასიფიკატორის (CPV) კოდი: 45316100 - გარეგანათების მოწყობილობების მონტაჟი.

2. შესყიდვის ობიექტის რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართი N 1 ფასების ცხრილში (ხარჯთაღრიცხვა), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2929 (ორიათას ცრაასოცდაცხრა) ლარს და 85 თეთრს დღგ-ს გათვალისწინებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3. სამუშაოს შესრულების ვადა

1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 14 აპრილის ჩათვლით.

2. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში.

4. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა

1. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წელს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული, შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.

5. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

1. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში. ფაქტიურად მოწოდებულ საქონლის (ნერგები) შესაბამისად, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომლის გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმდებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით, ხელშეკრულების შესაბამისად.

6. მხარეების პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
4. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროდ ასრულებს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების (გონივრულ ვადაში) შემდეგაც არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება. ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 20%-ის ოდენობით.
6. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულებების 0.02 პროცენტის ოდენობით.
8. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 პროცენტს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.
10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად შესრულებული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს შორის წარმოქმნილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რაც უნდა გაფორმდეს წერილობით.
2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 10 დღით ადრე.
2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2020 წლის 20 მაისის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

11. ფორს-მაჟორი

1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომასა

და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

12. სხვა დებულებები

1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

5. მიმწოდებლის სატენდერო წინადადება - განფასება თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლოების
მოვლა - პატრონობის ცენტრი“
ს/კოდი 415092919,
ქალაქი ფოთი, ჭანტურიას ქუჩა N 3.

„მიმწოდებელი“

შპს „გელმარი“
ს/კოდი 215108087,
ქალაქი ფოთი, ჭანტურიას ქუჩა N 2.
სს „ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია“, ბ/კ UGEBGE22,
ა/ნ GE92VT060000005303605

დირექტორი
გრიგოლ ლიფონავა

დირექტორი
გელა ვადაქარია

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქალაქი ფოთი

„03“ აპრილი 2020 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლოების მოვლა - პატრონობის ცენტრი“-ს დირექტორი გრიგოლ ლიფონავა ვადასტურებ, რომ არ ვიმყოფები შპს „გელმარი“-თან ინტერესთა კონფლიქტში.

ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლოების მოვლა - პატრონობის ცენტრი“-ს დირექტორი
გრიგოლ ლიფონავა